ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა
ტურიზმი

პროგრამის ხელმძღვანელი/ავტორი:
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის პროფესორი იოსებ ხელაშვილი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე

პროგრამის სახელწოდება – ტურიზმი (Tourism)

მისანიჭებელიკვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (BBA in Tourism).
პროგრამის მოცულობა კრედიტებით– 240 ECTS კრედიტი
სწავლების ენა - ქართული

პროგრამის მიზანი

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებს განსაკუთრებულ აქტუალობას ძენს ჩვენი ქვეყნის დაინტერესება ამ დარგისადმი, რამდენადაც ის საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და კაპიტალის მოზიდვის ერთ–ერთი პრიორიტეტული დარგად მიიჩნევა.

წინამდებარე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელებიც შეძლებენ ტურიზმის სფეროში ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას. ამაში მათ დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში" დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე. საბაკალავრო პროგრამით ბაკალავ-რის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სასწავლო კომპონენტების მეშვეო-ბით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირებასთან და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, აგრეთვე სავალდებულო პრაქტიკა. დამხმარე ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქ-მიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო (სავალდებულო და არჩევითი) სასწავლო კურსები და უცხო ენის სავალდებულო კომპონენტი. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმარ-თულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის

კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თან-მიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტუ-რას და აისახება სასწავლო გეგმაში.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ- ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც მზად იქნებიან ეროვნული ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული ადგილის დამკვიდრებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სწავლებას ორი განსხვავებული არჩევითი მოდულს: „ტურიზმის მენეჯმენტი“ და „სასტუმროს და კურორტის მენეჯმენტი“, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების თავისუფალ არჩევანს მათთვის საინტერესო მიმართულებით.

პროგრამაზე დაშვებისწინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო ეროვნული გამოცდები, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მუხლები.

სწავლის შედეგი

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, პირველი საფეხურის აღმწერისა და მიმართულებების, დარგების/სპეციალობების ჩამონათვალის თანახმად. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

1. **ცოდნა და გაცნობიერება**

კვალიფიკაცია „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“ ენიჭება სტუდენტს, რომელიც დაუფლებულია ბიზნესის ადმინისტრირების ინდუსტრიის მთლიან ბლოკს – ბიზნესის თეორიებს და მისი წარმოების პრინციპებს, ფინანსებს, მარკეტინგს, მენეჯმენტს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემებს და საბუღალტრო აღრიცხვას.

იცის მიკრო და მაკროეკონომიკის პრინციპების აქტუალური საკითხები (თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები), რომელიც ეხმარება კრიტიკული ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში. რომლის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია ტურიზმის სექტორში კომპანიის წარმატებული ფუნქციონირება.

ამასთან, „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“- ხარისხის მქონე სპეციალისტს აქვს ფართო ცოდნა შემდეგი მიმართულებით:

ტურიზმის ძირითადი სახეების და მიმართულებები; ტურიზმის დარგობრივი სტრუქტურა; საერთაშორისო ტურ–ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები;

ტურისტული მომსახურების ბაზარი; ტურისტული პროდუქტი და მისი თავისებურებანი; ტურისტული მომსახურების პროდუქტის ხარისხზე მოქმედი ფაქტორები; ტურისტული საწარმოს ბიზნეს– გარემო, მისი მართვის პრინციპები; ტურიზმში სტატისტიკური აღრიცხვისა და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია; აგრეთვე, ტურისტული ორგანიზაციის ეფექტიანად წარმართვის გზები და მეთოდები და სხვა.
გააჩნია ფუნდამენტალური ცოდნა ერთიან სატრანსპორტო სისტემაში; ფლობს ტურისტული სერვისის დაჯავშნის სისტემას;
იცის ტურიზმის სფეროში ბიზნეს–გეგმების შედგენისა და განხორციელების თეორიული ასპექტები; შეუძლია ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა; იცნობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პოლიტიკას.

2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები
ბაკალავრს შეუძლია:

- ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა;
- მიზნის დასახვა; მიზნების, ამოცანებსა და შედეგებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა;
- შესაბამისი შრომითი, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების განსაზღვრა და მართვა;
- კომპანიის პრაქტიკულ საქმიანობაში ფინანსური გეგმის შედგენა, ფინანსური კაპიტალის სწორად მართვა და პრობლემების გადაჭრა შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
- ეკონომიკური მოვლენების სწორი ანალიზი მიკრო და მაკრო დონეზე;
- საქართველოს ტურისტულ–რეკრეაციული ზონების, საკურორტო სისტემის პოტენციალის კვლევა, მიღებული შედეგების შეჯერება, მიღებული ინფორმაციის ანალიზში მონაწილეობის მიღება;
- პრაქტიკული დაკვირვებების საფუძველზე ორგანიზაციათა კონკურენტუნარიანობის გაზრდა ბაზარზე;
- მიმდინარე გლობალური პროცესების შეფასება და ორგანიზაციის სასიკეთოდ გამოყენება;
- ტურიზმის სფეროში სტრატეგიულ აზროვნება და ბიზნესის გრძელვადიანი დაგეგმარება.
- ტურისტული პროდუქტის რეალიზაციის არხების კონსტრუირება;
- ტურის ღირებულების დადგენა შესაბამისი მეთოდის გამოყენებით;
- მომხმარებელთა კმაყოფილების და უკმაყოფილების ხარისხის შეფასება;
- მოსალოდნელი უკმაყოფილების დაძლევა და მოპოვებული კლიენტების შენარჩუნება;
- მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა;
- ტურიზმში საინფორმაციო სისტემების გამოყენება;
- საერთაშორისო ტურიზმის ზრდის ტემპების დადგენა, ტურისტული საქმიანობის პერსპექტიული მიმართულებების ჩვენება;
- ტურისტული საწარმოს მენეჯმენტის ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი მმართველობითი
- ღონისძიებების შერჩევა, მათი ეფექტიანობის შეფასება;
- საქმიანობათა მონიტორინგი და შეფასება;
- გამომუშავებული აქვს კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანამედროვე მმართველობითი სტრუქტურების შერჩევის და ხელმძღვანელობის უნარი; შეუძლია შრომით რესურსებზე მოთხოვნის დაგეგმვა და მართვა;
- მსოფლიო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების ტენდენციების შეფასება და დაკავშირება;

- ტურიზმის სფეროში უსაფრთხოების პრევენცია და დაცვა.

2. დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულსშეუძლიატურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი – ემპირიული და თეორიული მონაცემების შეგროვება და განმარტება, განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული/სპეციფიური მეთოდისგამოყენებით. შეუძლია ცალკეული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, შესაბამისად დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. კერძოდ, მას შეუძლია:

- ბიზნესის დაგეგმვისათვის ყველა დეტალის გათვალისწინება და რისკ-ფაქტორების ანალიზი სფეროსათვის დამახასიათებელი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით. ბიზნეს - გარემოს შესწავლის და მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მისი ანალიზი, პრობლემების გადასაჭრელად, ალტერნატიული გზების განხილვა, შედეგების შეფასება და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება;
- ტურისტულ კომპანიებში სიტუაციების ანალიზი მენეჯმენტის ძირითადი მეთოდების – ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოყენებით. მოახდინოს ლერევანტული ინფორმაციის ამორჩევა და მისთვის მიცემული შეფასების განზოგადოება;
- მმართველობით საქმიანობაში გარღვევების დადგენა და სხვა სიტუაციების ანალიზი, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახვა გადაწყვეტილების მიღების მოდელებისა და მეთოდების – ექსპერტული შეფასება, თამაშთა თეორია, სწრაფი პროგრამირება გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა;
- ტურიზმის ძირითადი სახეობების შედარებითი ანალიზი. მათი პრიორიტეტების გამოკვეთა. შესაბამისად სტუდენტს განვითარებული აქვს არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, მონაცემთა ბაზებში მუშაობა, მათი გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება;
- ალტერნატიული ტურისტული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება და დაცვა;
- საინვესტიციო საქმიანობის შესახებ კანონის განხილვა/ანალიზი და საქართველოს ტურიზმის სფეროში საინვესტიციო საქმიანობის (ინვესტიციების დაბანდების) ეკონომიკური შეფასება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტურისტული საწარმოს საქმიანობის (საქმიანი აქტივობის) კრიტიკულად შეფასება და
- საკუთარი დასკვნის ჩამოყალიბება;
- პირველადი მარკეტინგული ინფორმაციის შეგროვების მეთოდების (სპეციალური კითხვარები, ანკეტები, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და სხვა) და მიზეზ–შედეგობრივი კავშირების გამოვლინების – ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებით მარკეტინგული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება;
- ტურისტული საწარმოს ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მათგან

ოპტიმალურის ამორჩევა;

- ტურიზმის სფეროში უსაფრთხოების რისკების გამოვლენა.

3. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია ტურიზმის სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხო ენებზე. აგრეთვე, შეუძლია საქმიანი ურთიერთობის პროცესში შემოქმედებითად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემები. კერძოდ, შეუძლია:

- ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ (მაგ., მარშრუტზე, განთავსების ობიექტზე და გადაადგილების საშუალებაზე და სხვა) ინფორმაციის დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ამომწურავი მიწოდება;
- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, წიგნებიდან და ინტერნეტ-გვერდებიდან ტურიზმის სფეროში არსებული სპეციალური ახალი ინფორმაციის და მონაცემების მიღება, გადამუშავება და მათი დეტალური წერილობითი/ზეპირი ფორმით გადაცემა;
- შესათავაზებელ ტურისტულ პროდუქტზე ინფორმაციის გადაცემა და შესაბამისი ახსნა-განმარტება.
- პროექტის ეფექტურად წარდგენა ვიზუალური ფორმით (ინფორმაციის წარდგენა/დემონსტრირება Microsoft Power Point გამოყენებით);
- მარკეტინგული კომუნიკაციური პოლიტიკის გატარება – რეკლამა სხვადასხვა კომუნიკაციური არხებით;
- გასაღების სტიმულირება, პირადი გაყიდვებისა და პროპაგანდის წარმოება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით;
- ელექტრონულ დოკუმენტებსა და ცხრილებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- ტურიზმის სფეროში არსებული უსაფრთხოების რისკების, მათი პრევენციის და რეაგირების ეფექტიანი კომუნიკაცია ტურისტებთან, თანამშრომლებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან;

კურსდამთავრებულს შეუძლია უცხო ენაზე აწარმოოს კომუნიკაცია B2.2 დონეებზე:

ა) ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების გააზრება და მოპოვება, უცხო ენაზე ინფორმაციის გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გამართული ზეპირი და წერილობითი ფორმით, საკითხისადმი საკუთარი და მოკიდებულების წარდგენა, დისკუსიებსა და მოლაპარაკებებში მონაწილეობა, კითხვა-პასუხის რეჟიმში მუშაობა;

ბ) ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და

არასპეციალისტებისათვის გადაცემა უცხო ენაზე B2.2 დონეზე. აგრეთვე, იმსჯელოს საკმაოდ რთულ სადისკუსიო საკითხებზე, წარმართოს დიალოგი როგორც ყოფით, ასევე დარგობრივი სიტუაციების ირგვლივ, პრეზენტაციის მომზადება თანამედროვე ინფორმაციული სისტემების გამოყენებით ბიზნეს თემატიკის ირგვლივ და თავისუფლად დაამყაროს კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დაგეგმარება. აგრეთვე, თანამედროვე სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება. კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს დროის ორგანიზების და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. კერძოდ, შეუძლია: დაგეგმოს ლექციისთვის და გამოცდისთვის მომზადების პროცესი, გაანაწილოს დრო, დასახოს მიზნები და გამოყოს პრიორიტეტები. ინტენსიური სწავლებისა და მრავალი სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს ტურიზმის სფეროში დინამიურ სწრაფად ცვალებად გარემოში კარიერული დაგეგმარებისა და წინსვლის პრიორიტეტების გამოვლენის უნარი. შესაბამისად, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს როგორც მაღალი ხარისხის აკადემიურ განათლებას, ისე კარიერული მართვის, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მანევრირების საშუალებას.

) ღირებულებები

ვინაიდან ტურიზმის მიზნები პასუხობს საზოგადოებრივ მორალს და წესრიგს იგი გვევლინება დადებით და მუდმივ ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა შორის ნდობას და პატივისცემას, ურთიერთშემეცნებასა და გაგებას, შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსები და თემები კურსდამთავრებულს უყალიბებს მორალის, მაღალი ზნეობისა და ეთიკური ქცევის შინაგან უნარ–ჩვევებს. სტუდენტს შეუძლია მონაწილეობის მიღება ტურიზმის სფეროს ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

ამასთან, კურსდამთავრებულმა იცის ბიზნეს - კულტურის ეთიკური ნორმები, გაცნობიერებული აქვს მეწარმეთა და ბიზნესმენთა პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და მზად არის პრაქტიკაში დასაქმებისას იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარული მეცადინეობა, პრაქტიკულიმეცადინეობა, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებიდან – ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, ვერბალური მეთოდი, დამოუკიდებელი მუშაობა, წერითი მუშაობის მეთოდი (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, ესეს

შესრულება, ბიზნეს წერილების შედგენას და ა.შ.), შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), წიგნზე მუშაობის მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, ინდუქცია, დედუქცია, ახსნა – განმარტებითი ანგარიშის დაწერა, რეფერატის შესრულება, პრეზენტაცია, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა და სხვა მეთოდები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდები განსხვავებულია და მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91 და მეტი ნიშნავს - *A*"ფრიადი;"
- მაქსიმალური შეფასების 81-90 ნიშნავს - *B* "ძალიანკარგი;"
- მაქსიმალური შეფასები*ს* 71-80 ნიშნავს - *C*"კარგი;"
- მაქსიმალური შეფასების 61-70 ნიშნავს - *D* "დამაკმაყოფილებელი";
- მაქსიმალური შეფასების 51-60 ნიშნავს - *E*" საკმარისი".

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 41-50 ნიშნავს - *Fx* "ვერ ჩააბარა", სტუდენტს ჩასაბარებად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- მაქსიმალური შეფასების0-40 ნიშნავს *F* "ჩაიჭრა", სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სასწავლო გეგმა

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი) – 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას. აქედან 15 კვირაზე გათვალისწინებულია სააუდიტორო მუშაობა, ხოლო დანარჩენი 4 კვირა ეთმობა სასესიო პერიოდს – გამოცდებისთვის მომზადებას და დასკვნით გამოცდას, ერთი ECTS კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – მოდის დამოუკიდებელი მუშაობის წილად.

პროგრამის 240 კრედიტიდან საფაკულტეტო სასწავლო კურსებზე მოდის 30 კრედიტი, პრაქტიკა – 10 კრედიტი, თავისუფალი–10 კრედიტი, მაპროფილებელი სასწავლო კურსები – 130 კრედიტი: მათ შორის: არჩევით მოდულებზე მოდის **20** კრედიტი:

- ტურიზმის მენეჯმენტი – 20 კრედიტი
- სასტუმროს და კურორტის მენეჯმენტი – 20 კრედიტი.

ორი არჩევითი მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთს.

დამატებითი სპეციალობის პროგრამისთვის გათვალისწინებულია 60 კრედიტი. დასაშვებია ნებისმიერი დამატებითი სპეციალობის შერჩევა, ან შესაძლებელია ამავე მოცულობის თავისუფალი კრედიტების ათვისება.

ფორმა 1

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ეკონომიკისა დაბიზნესის

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა საბაკალავრო

პროგრამის სახელწოდება: ტურიზმი

პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: პროფესორი იოსებ ხელაშვილი და ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29 ივნისი, 2011, დადგენილება#57

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011 წლის შემოდგომის სემესტრი

სასწავლო კურსები / მოდულები									
საფაკულტეტო სასწავლო კურსები /მოდულები									
კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ ლექტორები
			სულ	ლექცია	სემინარი/პრაქტიკული				
1	კალკულუსი (ტურიზმისთვის)	5	125	30	30	65	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	უ. გოგინავა
2	მსოფლიო ხელოვნების ისტორია	5	125	30	15	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ი. მირიჯანაშვილი

3	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	125	30	30	65	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ი. იაშვილი
4	შესავალი ფსიქოლოგიაში	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	გ. გოროშიძე
5	სოციოლოგიის შესავალი	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	შ. თურქიაშვილი; თ. თოფჩიშვილი
6	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	5	125	0	45	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	დ. სიჭინავა რ. სეთურიძე თ. მელქოშვილი ვ. გოგიჩაიშვილი მ. ტიკიშვილი გ. ნაკაშიძე
სულ:		**30**							

თავისუფალი კრედიტები (სასწავლო კურსები / მოდულები)

კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ ლექტორები
			სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				
1	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერი საგანი, მათ შორის შემდეგი ინგლისურენოვანი არჩევითი კურსები	5						VII შემოდგომის	–
2		5						II გაზაფხულის	–

	(ინგლისურენოვანი კურსები განკუთვნილია უცხოენოვანი პროგრამების სტუდენტებისათვის)								
	სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი (Hotel Operations and Management)	5	45	15	30	80	ინგლისური ენა B2; შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში	VII შემოდგომის	ნ. კაციტაძე ი. ხელაშვილი
	ინვესტირების შესავალი სასტუმრო ინდუსტრიაში (Introduction to Investment in the Hotel Industry)	5	45	15	30	80	ინგლისური ენა B2; ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	II გაზაფხულის	ი. ხელაშვილი
სულ:		**10**							

მაპროფილებელი სასწავლო კურსები / მოდულები

კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ ლექტორები
			სულ	ლექცია	სემინარი/პრაქტიკული				
1	უცხო ენა 1	5	125	0	90	35	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	თსუ ენების ცენტრის ლექტორები

2	უცხო ენა 2	5	125	0	90	35	უცხო ენა 1	II გაზაფხულის	თსუ ენების ცენტრის ლექტორები
3	უცხო ენა 3	5	125	0	90	35	უცხო ენა 2	III შემოდგომის	თსუ ენების ცენტრის ლექტორები
4	უცხო ენა 4	5	125	0	90	35	უცხო ენა 3	IV გაზაფხულის	თსუ ენების ცენტრის ლექტორები
5	შესავალი ტურიზმში	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ნ. კაციტაძე ი. ხელაშვილი
6	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	IV გაზაფხულის	ნ. კაციტაძე
7	მიკროეკონომიკის პრინციპები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ე. მექვაბიშვილი მ. ნაცვალაძე
8	მაკროეკონომიკის პრინციპები	5	125	15	30	80	მიკროეკონომიკის პრინციპები	II გაზაფხულის	ე. მექვაბიშვილი მ. ნაცვალაძე
9	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	IV გაზაფხულის	ლ. საბაური
10	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	თ. შენგელია
11	საერთაშორისო ტურიზმი	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	VI გაზაფხულის	ვ. არღუთაშვილი მ. ხოხობაია
12	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	დ. ნარმანია, ე. ჩოხელი
13	სტატისტიკა ტურიზმისათვის	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომის	ნ. აბესაძე
14	ბიზნესის სამართალი	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VII შემოდგომის	ვ. ზაალიშვილი

15	ადამიანური რესურ-სების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში	5	125	15	30	80	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში	VII შემოდგომის	მ. ხოხობაია
16	მარკეტინგის საფუძვლები	5	125	15	30	80	წინაპირობების გარეშე	IV გაზაფხულის	ნ. თოდუა
17	ტურიზმის ეკონომიკა	5	125	15	30	80	მაკროეკონომიკის პრინციპები	III შემოდგომის	მ. ხოხობაია
18	ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი	5	125	15	30	80	მარკეტინგის საფუძვლები ან მარკეტინგი 1	V შემოდგომის	ნ. თოდუა მ. სეთური
19.	საოჯახობიზნესის მართვა ტურიზმში	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	V შემოდგომის	ვ. არღუთაშვილი
20.	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15	30	80	მაკროეკონომიკის პრინციპები	VI გაზაფხულის	ხ. ბარბაქაძე
21.	ინფორმაციული სისტემები ტურიზმში	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში; ინფორმატიკა ეკონოკიკასა და ბიზნესში	VIII გაზაფხულის	მ. ხოხობაია
22.	უსაფრთხოება ტურიზმში	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VIII გაზაფხულის	ვ. არღუთაშვილი

არჩევითი კურსები / მოდულები

კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ ლექტორები
			სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				

მოდული: ტურიზმის მენეჯმენტი		20						V შემოდგომის VI გაზაფხულის	
1	ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	V შემოდგომის	ვ. არღუთაშვილი
2	კულტურული ტურიზმი	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VI გაზაფხულის	გ. მჭედლიშვილი
3	ეკოტურიზმი	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	V შემოდგომის	ნ. კაციტაძე მ. ხუსკივაძე
4	ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	VI გაზაფხულის	ნ. კაციტაძე
მოდული: სასტუმროს და კურორტისმენეჯმენტი		20						V შემოდგომის, VI გაზაფხულის	
1	სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	V შემოდგომის	ნ. კაციტაძე
2	სასტუმროს ფრონტ-ოფისის მენეჯმენტი	5	125	15	30	80	სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი	VI გაზაფხულის	ნ. კაციტაძე
3	სურსათისა და სასმელის მენეჯმენტი	5	125	15	30	80	წინაპირობის გარეშე	VI გაზაფხულის	ნ. კაციტაძე;
4	კურორტის მენეჯმენტი	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	V შემოდგომის	ნ. კაციტაძე; ე. ბალიაშვილი
სულ:		**130**							
პრაქტიკა									

კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	პრაქტიკის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი)	დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი/სემესტრები	პრაქტიკის ხელმძღვანელი
	პრაქტიკა	10	90/160		სავალდებულო	ერთ–ერთი არჩევითი მოდულის კურსები კურსები	VIII გაზაფხულის	ნ. კაციტაძე, ი. ხელაშვილი
სულ:		**180**						
დამატებითი სპეციალობა		**60**						
სულ:		**240**						

დამატებითი სპეციალობის პროგრამა – ტურიზმი სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსები / მოდულები									
კოდი	კურსის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ლექტორი/ ლექტორები
			სულ	ლექცია	სემინარი/პრაქ				

1	შესავალი ტურიზმში	5	125	15	30	80	წინაპირობების გარეშე	III შემოდგომის	ნ. კაციტაძე, ი. ხელაშვილი
2	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში	5	125	15	30	80	წინაპირობების გარეშე	IV გაზაფხულის	ნ. კაციტაძე
3	ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	VI გაზაფხულის	ნ. კაციტაძე
4	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში	5	125	15	30	80	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში	VII შემოდგომის	მ. ხოხობაია
5	სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი	5	125	15	30	80	წინაპირობების გარეშე	V შემოდგომის	ნ. კაციტაძე
6	ეკოტურიზმი	5	125	15	30	80	წინაპირობების გარეშე	V შემოდგომის	ნ. კაციტაძე; მ. ხუსკივაძე
7	ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	IV გაზაფხულის	ვ. არღუთაშვილი
8	საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5	125	15	30	80	წინაპირობების გარეშე	III შემოდგომის	მ. ღვინჯილია
9	ღვინის ტურიზმი	5	125	15	30	80	წინაპირობების	VII შემოდგომის	ნ. ბაკურაძე

							გარეშე		
10	საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	VI გაზაფხულის	ვ. არღუთაშვილი
11	საერთაშორისო ტურიზმი	5	125	15	30	80	შესავალი ტურიზმში	VIII გაზაფხულის	ვ. არღუთაშვილი, მ. ხოხობაია
12	სურსათისა და სასმელის მენეჯმენტი*	5	125	15	30	80	წინაპირობების გარეშე	VIII გაზაფხულის	ნ. კაციტაძე
13	კულტურული ტურიზმი*	5	125	15	30	80	წინაპირობების გარეშე	VIII გაზაფხულის	გ. მჭედლიშვილი
*დამატებითი სპეციალობის (Minor) ორი არჩევითი კურსიდან ასარჩევია ერთი.									
სულ		60							

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი:_____ ფაკულტეტის ბეჭედი:

პროგრამის სტრუქტურა

№	საგნის/მოდულისდასახელება	საგნის/მოდულის სტატუსი: სავალდებულო არჩევითი	კრედიტებისსა ერთორაოდენო ბა	კრედიტებისგანაწილება							
				სემესტრები							
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	საფაკულტეტო კურსები										
1	მათემატიკა(ტურიზმისათვის)	სავალდებულო	5	5							
2	მსოფლიო ხელოვნების ისტორია	სავალდებულო	5	5							
3	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	სავალდებულო	5	5							
4	შესავალი ფსიქოლოგიაში	სავალდებულო	5		5						
5	სოციოლოგიის შესავალი	სავალდებულო	5		5						
6	ინფორმატიკა ბიზნესში	სავალდებულო	5	5							
სულ:			**30**								
	თავისუფალი კრედიტები		**10**		5					5	
	მაპროფილებელი სასწავლო კურსები										
1	უცხო ენა 1	სავალდებულო	5	5							
2	უცხო ენა 2	სავალდებულო	5		5						
3	უცხო ენა 3	სავალდებულო	5			5					
4	უცხო ენა 4	სავალდებულო	5				5				
5	შესავალი ტურიზმში	სავალდებულო	5			5					
6	შესვალი მასპინძლობის მენეჯმენტში	სავალდებულო	5				5				
7	მიკროეკონომიკის პრინციპები	სავალდებულო	5	5							

8	მაკროეკონომიკის პრინციპები	სავალდებულო	5		5						
9	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1	სავალდებულო	5		5						
10	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში	სავალდებულო	5				5				
11	საერთაშორისო ტურიზმი	სავალდებულო	5						5		
12	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5			5					
13	სტატისტიკა ტურიზმისათვის	სავალდებულო	5							5	
14	ბიზნესის სამართალი	სავალდებულო	5							5	
15	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში	სავალდებულო	5							5	
16	მარკეტინგის საფუძვლები	სავალდებულო	5				5				
17	ტურიზმის ეკონომიკა	სავალდებულო	5			5					
18	ტურიზმისადამასპინძლობისმარკეტინგი	სავალდებულო	5					5			
19	საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში	სავალდებულო	5					5			
20	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5						5		
21	ინფორმაციული სისტემები ტურიზმში	სავალდებულო	5								5
22	უსაფრთხოება ტურიზმში	სავალდებულო	5								5
	მოდული - ტურიზმის მენეჯმენტი	**არჩევითი**	**20**								
1.	ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი		5					5			
2.	კულტურული ტურიზმი		5						5		
3.	ეკოტურიზმი		5					5			
4.	ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია		5						5		
	მოდული - სასტუმროს და კურორტის მენეჯმენტი	**არჩევითი**	**20**								

1.	სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი		5					5			
2.	სასტუმროსფრონტ–ოფისისმენეჯმენტი		5						5		
3.	სურსათისა და სასმელის მენეჯმენტი		5						5		
4.	კურორტის მენეჯმენტი		5					5			
სულ:			**130**								
	პრაქტიკა		**10**								10
სულ:			**180**	**30**	**30**	**20**	**20**	**20**	**20**	**20**	**20**
დამატებითი სპეციალობა			**60**								
სულ:			**240**								

I მოდულის სახელწოდება – ტურიზმის მენეჯმენტი

მოდულზე დაშვების წინაპირობა –პირველი ორი წლის სპეციალობის მაპროფილებელი კურსები

მოდულის მოცულობა – 20 ECTS კრედიტი

მოდულის მიზანი – ტურიზმის მენეჯმენტის მოდულის მიზანია სტუდენტს მისცეს აღნიშნულ სფეროში საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციის საკითხების ფართო ცოდნა. ამისთვის სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ისეთი საგნები, როგორიცაა: „ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი“,„ეკოტურიზმი“, „კულტურული ტურიზმი“, და „ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია“.

სწავლის შედეგი

1. ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულმა იცის: ტურიზმის მენეჯმენტის კონცეფცია; ტურისტული ბიზნესის თავისებურებები; ტურისტული ორგანიზაციის გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების აღწერა; დარგის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების აღწერა და მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერება; ტურისტული ორგანიზაციების ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს შეფასება; ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპი.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს:
